სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 **ივლისი, 2026 წელი**

ბრძანება №01-02/131

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სოფიო ბრუნჯაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/18 დადგენილების, „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის №01-08/742 ბრძანების, „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხული ბსუ-ს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სათაურების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 21 ნოემბრის №01-02/215 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/49 და 2025 წლის 16 ივლისის №06-01/61 დადგენილებების, „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხული ბსუ-ს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სათაურების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 21 ნოემბრის №01-02/215 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 27 თებერვლის №01-02/36 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №27–20/04, 03.07.2026 წ.) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2026 წლის 3 ივლისის MES 5 26 0000857705 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **სოფიო ბრუნჯაძის** სადისერტაციო ნაშრომის - **„კოგნიტური ფუნქციების კლინიკო-პათოლოგიური მახასიათებლების თავისებურებებისა და გენეტიკური პოლიმორფიზმის შესწავლა აჭარის სხვადასხვა ასაკის მოსახლეობაში“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2026 წლის 16 ივლისს, 14:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი ბიოლოგიის დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

2.1. **მარინა ნაგერვაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

2.2. **ეთერ ჯაყელი** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, შინაგანი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი -კომისიის მდივანი;

2.3. **რუსუდან ხუხუნაიშვილი** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის წევრი;

2.4. **დავით ბარათაშვილი** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის წევრი

2.5. **თეა ქოიავა** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.6. ლეილა ახვლედიანი - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.7. **ეთერი სარალიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.8. **მანანა ჩიხლაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.9. **ეკა კვარაცხელია** - ბიოლოგიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ) განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის

ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორ მარინა ნაგერვაძეს) და სადისერტაციო საბჭოს მდივანს (ასოცირებულ პროფესორ ეთერ ჯაყელს).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე